

ზემო იმერეთის ზედა პალეოლითის მიკროლითური ტექნოლოგიები ზონდის მღვიმის
მასალების მიხედვით

ანა კაპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და
ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი, არქეოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალიას
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის
მაგისტრანტის ანა კაპანაძის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კაპანაძე

2017

აბსტრაქტი

ჯერ კიდევ XIX-ე ს-დან არის ცნობილი, რომ ზემო იმერეთის რეგიონი, უფრო ზუსტად კი, ჭიათურა-საჭხერის ადმინისტრაციული რაიონები მდიდარია ძველი ქვის ხანის ძეგლებით. ეს რეგიონი ერთ-ერთი ის ტერიტორიაა საიდანაც საფუძველი ჩაეყარა ძველი ქვის ხანის კვლევას საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ ჭიათურაში მდებარეობს ქვის ხანის უმნიშვნელოვანესი ძეგლები მაგ: ჯრუჭულის მღვიმე. სამგლე კლდე. ორთვალა კლდე, ბონდის მღვიმე, ძუძუანას მღვიმე, უნდოს მღვიმე და სხვა. აღნიშნულ რეგიონში მრავლადაა აღნიშნული პერიოდის ღია სადგომებიც. მათი მეცნიერულად შესწავლა მრავალი წელია მიმდინარეობს თუმცა ჯერჯერობით დასრულებული არ არის, რაც საბოლოო დასკვნებისა და ქვის ხანის პერიოდის სრულად რეაბილიტაციის საშუალებას არ იძლევა.

მიკროლითები, ანუ მცირე ზომის ქვის არტეფაქტები (ლამელები, მიკროლამელები და სხვ.) საქართველოს პალეოლითის ინდუსტრიაში ჩნდება საკმაოდ ადრე, ფინალური შუა პალეოლითის პერიოდიდან (ნ.თუშაბრამიშვილი. 1994).

ზედა პალეოლითში (40-12 000 წწ. წინ) ქვის მიკროიარაღების ანუ მიკროლითების დიდი რაოდენობა კი მეტყველებს ადამიანის მაშინდელი განვითარების დონესა და მიღწევებზე, აღნიშნული იარაღები დასამზადებლად არც თუ ისე მარტივია, მათი დამუშავების ტექნიკა საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია, ასევე მრავალფეროვანია მათი დაანიშნულებაც, ისინი გამოიყენებოდა როგორც ჩასართი იარაღები, ასევე, როგორც ისრისპირები და ა.შ. მიკროლითური ტექნოლოგიები ზედა პალეოლითურ სხვადასხვა ძეგლებზე იკვეთება, მათ შორისაა ბონდისა და ძუძუანას მღვიმეები. მათ შორის მიკროლითური ტექნოლოგიების მსგავსება უდავოა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ერთმანეთთან ახლოს მდებარე საცხოვრისებზე განვითარებისა და ცხოვრების დონე თითქმის ერთნაირი იყო.

ჩვენთვის ცნობილ იარაღთა ტიპები და მათი დამუშავების ხერხები საკმაოდ დახვეწილია. განსაკუთრებით ბევრია ორმაგი (დუბლირებული) და კომბინირებული

იარაღები. კომბინირებული იარაღი სხვადასხვა ფუნქციის იარაღთა კომბინაციას გულისხმობს. მაგალითად, საფხეკ-საჭრისი, საფხეკ-სახვრეტი, საჭრის-სახვრეტი, საფხეკ-წვეტანა და სხვ. მონაპოვარში გამოირჩევა გრავეტის ტიპის დანები ანუ შედარებით ვიწრო, მაგრამ სწორი, ორფერდა ცალ ან უფრო ხშირად ორთავგვერდრეტუმიანი ლამელები, რომლებიც ზომებით შატელპერონულ კულტურის იარაღებს საგრძნობლად ჩამორჩება და დამახასიათებელია უმთავრესად ზედა პალეოლითის მეორე ნახევრის ქვის ინდუსტრიისათვის. ხშირია თავირბრეტუმიანი ხიწვიანი საჭრისები. ბლომად არის აგრეთვე ნავისებური, მაღალი ტიპისა და ნუკლეუსისმაგვარი საფხეკები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რგანის ტიპის დანები, რომლებიც ადრე დაუმთავრებელ ისრისპირებად მიაჩნდათ. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი წნევითი ტექნიკით დამუშავებული მიკროლითები, რომლებიც ზოგი დანის, ზოგი ისრისპირის, ზოგიც სხვა რთული იარაღის ჩასართის დანიშნულებას ასრულებდა. აღმოჩენილია ძვლის იარაღი და იარაღის დასამზადებელი ხელსაწყო-ინსტრუმენტებიც: გრდემლი, ხელჩაქუჩი, ძვლის კომპრესორი (წნევის გზით ნაზირეტუშის მისაღებად) და სხვა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: *ზემო იმერეთი, პალეოლითი, ბონდის მღვიმე, ქვის იარაღები, მიკროლითები,*

Abstract

Even from 19 century there is known, that at the top of Imereti region just exactly of Chitura-Sachkhere Region is rich with an old stone age monuments. This region is one of the place wich had started and was search an old stone age of a Georgian territory.

In fact Chiatura there are too important monuments. For example: Bondi cave, Dzudzuana cave, Undo cave and others. This known for us Region is full of open dwelling

and science still continue learning them, but not over yet. It means that it does not give us conclusion and full rehabilitation about of stone age.

Upper Paleolithic appears microliths shows us how an old human reached and improved development level. To get these tools are not really simple. Making them is as difficult and multifarious as their using. They were used as putting tools also as arrow tip and a.c.t. This microlithic technology appears of different monuments of upper paleolithic. Between these monuments are Bondi and Dzudzuana caves and both of them are almost similar and it means that their development level was the same too.

The main thematic search words: *Upper Imereti, Paleolithic, Bondi Cave, Stone tools, Microlithics.*